ბალანსის უწყისი 30-06-2024 მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	
აქტივები ფული და ფულის ექვივალენტები	534,826
მოკლევადიანი მოთხოვნები	-
საგადასახადო აქტივი	-
ძირითადი საშუალებები	7,349
ინვესტიციები	-
არამატერიალური აქტივები	5,000
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2,500
სულ აქტივები	**549,675**
ვალდებულებები	1,177
საიჯარო ვალდებულება	-
სხვა ვალდებულებები	1,062
სულ ვალდებულებები	**2,239**
საწესდებო კაპიტალი	174,048
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	-23,034
ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	-
სუბორდინირებული სესხი	396,422
სულ კაპიტალი	**547,436**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**549,675**

მოგება ზარალის უწყისი 01-01-2024-დან 30-06-2024 ჩათვლით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	95,000
სულ საოპერაციო შემოსავალი	**95,000**
ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯები	-
პერსონალის ხარჯები	-
ადმინისტრაციული ხარჯები	-
ცვეთა და ამორტიზაცია	-
სხვა ხარჯები	(32,074)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(32,074)**
საოპერაციო მოგება (ზარალი)	**62,926**
საპროცენტო შემოსავალი	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)	7,616

სხვა არასაოპერაციო მოგება (ზარალი)	-
არასაოპერაციო მოგება (ზარალი)	**7,616**
მოგება დაბეგვრამდე	**70,545**
გადასახადები	(15,972)
წმინდა მოგება	**54,569**

ფულადი სახსრების მოძრაობა 01-01-2024-დან 30-06-2024 ჩათვლით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	54,569
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	**54,569**
სხვა დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	-
სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(5,132)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	**(5,132)**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**49,437**
ინვესტიციების შემცირება (ზრდა)	-
ძირითადი საშუალებების შემცირება (ზრდა)	-
არამატერიალური აქტივების (ზრდა) შემცირება	-
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების (ზრდა) შემცირება	-
გაცემული დივიდენდი	(67,000)
გადაფასების რეზერვი ზრდა (შემცირება)	
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(67,000)**
სუბორდინირებული სესხების ზრდა (შემცირება)	393,446
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**393,446**
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტების ცვლილება	375,883
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**158,943**
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**534,826**

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01-01-2024-დან 30-06-2024 ჩათვლით

	საწესდებო კაპიტალი	სუბორდინირებული სესხი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01/01/2024 მდგომარეობით	**174,048**	**2,976**	**(10,603)**	**166,421**
ბრუნვა 01/01/2024-დან 30/06/2024-ის ჩათვლით	-	393,446	(12,431)	381,015
ნაშთი 30/06/2024 მდგომარეობით	**177,048**	**396,422**	**(23,034)**	**547,436**

შენიშვნა - 1 - ზოგადი ასპექტები

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 15 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, ქართული კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 405482721.

კომპანიის დამფუძნებლები არიან ირაკლი ელაშვილი და ლევან წუწუნავა, რომლებიც კომპანიაში ფლობენ შესაბამისად 75%-იან და 25%-იან წილებს. ანგარიშგების გამოცემის მომენტში საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ირაკლი ელაშვილი და ლევან წუწუნავა არიან კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე პასუხიმგებელი პირები. კომპანიის დირექტორი არის ირაკლი ელაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული კლიენტებისთვის ფასიანი ქაღალდების განთავსების თაობაზე და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით სხვადასხვა ფინანსური რჩევების მიცემა. 2021 წლის 9 ნოემბერს კომპანიამ ეროვნული ბანკისგან მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების მიზნით.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს:

- რჩევებს სასესხო კაპიტალის, სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიის, და დაფინანსების მოძიების მიმართულებით;
- რჩევებს კორპორატიული ფინანსების მიმართულებით, შერწყმის, შესყიდვის ან გასხვისების სტრატეგიული ამოცანების დაგეგმვისა და პროექტის მართვისა და დასრულების ნაწილში;
- საკონსულტაციო მომსახურებას ინვესტიციების სტრუქტურირების და აქტივების დაცვის მიმართულებით.

კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, ლისი ვერანდა, იასამნების ქ. N5, ბ.3

შენიშვნა - 2 - ფინანსური ანგარიშების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი"-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად. საზოგადოება ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდი

საანგარიშო პერიოდი კომპანიისათვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სამუშაო ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია 2024 წლის 30 ივნისის შემდეგი გაცვლითი კურსები:

	30 ივნისი 2024
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8101
1 ევრო/ლარი	3.0082
1 გირვანქა/ლარი	3.5539

ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია ფულადი სახსრებით და მისი ექვივალენტებით, მოთხოვნებით და ვალდებულებებით, ფინანსური ინვესტიციებით და სხვა ვალდებულებებით

ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დარიცხული ამორტიზაციის გამოკლებით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

გადასახდელი ვალდებულებები

გადასახდელი ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს მიღებული საქონლის ან სანაცვლოდ გადასახდელ თანხებს.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხდება მათი დარიცხვისთანავე. კომპანიის შემოსავალი მოიცავს საბროკერო მომსახურებიდან მიღებულ საკომისიოს.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე დანახარჯები, მის საქმიანობაზე გადასახადის გადასახდელად გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.